ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

15 (10002) • 15 aprili • 2013 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

მარინა სუნგულიამ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსის პოსტი დატოვა

გაზეთი „ალიონი“

რესპუბლიკელმა მარინა სუნგულიამ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსის პოსტი დატოვა. იგი უსამართლობასთან ბრძოლის გზად სამოქალაქო საზოგადოებას მიიჩნევს.

მარინა სუნგულია:– მონაწილეობა მივიღე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ძალიან ბევრი უსამართლობა ხდება. დაირღვა ყოველგვარი წესი გამოცდის, გასაუბრების პროცესში. მიუხედავად იმისა, მაღალი ქულები მაქვს, დარღვეულია გამოცხადების ვადები. გარდა ოზურგეთისა ყველა მუნიციპალიტეტში, დანიშნულია ხელმძღვანელი. ამ პროცესს აფერხებს როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი გაერთიანებულად ხელს იშვერენ ჩემსკენ, როგორც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატის ზურგს უკან ამოფარებულზე. ეს კი ჩემთვის შეურაცმყოფელია. 20 წელია სიმართლისთვის ვიბრძვი. გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში მიბრძოლია, თითქის არაფრის იმედი რომ არ იყო. მე არასდროს არავის ზურგს უკან ამოფარებული არ ვყოფილვარ. მე მოვდივარ დეპუტატის ბიუროდან და როგორც თავისუფალი მოქალაქე ვიბრძოლებ ჩემი უფლებების დასაცავად. ბიუროდან წამოსვლით არც დეპუტატი ჩადგება უხერხულ მდგომარეობაში და არც ჩემსკენ წამოვა შესაბამისი ბრალდებები. მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლისათვის. მე კაბინეტისათვის არ ვიბრძოდი, მინდა უფრო ჯანსაღი ცხოვრება. ისე, როგორც საქართველოს, ოზურგეთის საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ მასში ჯანსაღი მუხტია, იგი ჯანსაღად აზროვნებს. ოზურგეთში ძალიან ბევრი პროტესტი დაგროვდა, ბევრ კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული. ვფიქრობ, სამოქალაქო საზოგადოება გააქტიურდება. მე ამ საზოგადოების მხარდამჭერი ვიქნები და ერთად მოვითხოვთ ყველასგან პასუხს.

–მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძესთან თუ გქონდათ ამ თემაზე საუბარი..

–პირისპირ რომ გვქონოდა საუბარი, ბატონი ზვიადი ალბათ მირჩევდა არ დამეტოვებინა ბიურო. იცით,იგი ამჟამად მაროკოში იმყოფება. გადაწყვეტილების მიღებამდე ორი დღით ადრე მივწერე ელექტრონული ფოსტით, ცოტა ადრე კი–ფეისბუქის საშუალებით. შეიძლება მისთვის ჩემი სწრაფი მოქმედება უცხო იყო, მაგრამ ზოგადად მან ამის შესახებ იცოდა.

–როგორ ფიქრობთ, დაგნიშნავენ თქვენ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე?

–ოზურგეთლებიდან, ვინც ვაკანსიაზე შეიტანა განაცხადი,ყველაზე მაღალი ქულა მქონდა. შემდეგ იყო გასაუბრება. ორჯერ ვიყავი გასაუბრებაზე. მეორე გასაუბრების დასრულების შემდეგ მითხრეს: თქვენ ძალიან სერიოზული სპეციალისტი ბრძანდებით, თუ შეიძლება მოადგილედ წახვიდეთ(?!) ერთი თვეა გასაუბრების პროცესი დასრულდა, საჯარო სამსახურის კანონში წერია: გასუბრების (ტესტირების) არაუგვიანეს ხუთი დღისა, უნდა გეცნობოს შედეგი.

საინტერესოა, რატომ მოადგილედ და არა უფროსად. ამას დებულება არ ითვალისწინებს. თუ განაცხადი გქონდა შეტანილი ხელმძღვანელის ნომინაციაზე, თუ არ გახვიდოდი, ტოვებდი კონკურსს.

–ვის მოიაზრებენ საინფორმაციო-საკონსულტაციო ბიუროს უფროსად?

–სავარაუდოდ არის ჭყონია. იგი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ მუშაობდა. იგი ამჟამად გუბერნიაში განაგებს სოფლის მეურნეობის სამსახურს. კაცი, რომელიც „ყვითელი სიმინდის“პროგრამას ხელმძღვანელობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. ეს პროგრამა ფაქტიურად ჩავარდა, რაზედაც მას არანაირი პასუხისმგებლობა არ უგრძვნია. საინტერესოა როგორ განახორციელებს იგი ახალ პროექტებს? 4 წლის წინ ვმონაწილეობდი ანალოგიურ კონკურსში. გურიიდან 4 ვიყავით. ეს ჭყონია, აკაკი, ლაშა ღლონტები, და მე. როცა გასაუბრება მორჩა, **კომისიის წევრმა, გვარად კობახიძემ შემეკითხა: –ტიფო მიქატაძემ დანება პოლიტიკას თავი?**

მე საზოგადოებიდან მხარდაჭერა მაქვს და ვიბრძოლებ მივიღო ის, რაც მე მეკუთვნის. მეუბნებიან: შენ ამას როგორ გიკეთებენ, მაშინ ჩვენ რაღას გვიზამენ..

-თქვენი ტიტულები...

–სწავლული აგრონომი, აკადემიური დოქტორი. მაქვს უშუალოდ აგრონომიული განათლება. ვმუშაობდი აგროეკოლოგიური ლაბორატორიის გამგედ; შპს ,,ხელხვავის“დირექტორად; არა მგონია ჩემს გამოცდილებაზე პრეტენზია ჰქონდეთ....

14 აპრილის გახსენება

დღეს 14 აპრილია –ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებული დღე, დედაენის დღე. ყოველთვის ბევრი მტერი ჰყავდა ქართულ ენას, მაგრამ ვერავინ შეძლო მასზე გამარჯვება.

დღეს 35 წელი შესრულდა 1978 წლის 14 აპრილიდან, როდესაც ქართველი ახალგაზრდობა –სტუდენტები და მოსწავლეები წინ აღუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას გაეუქმებინა საქართველოში ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა. მათ, საქმით და არა სიტყვით, დაუდასტურეს ქართულ გულწრფელი ერგულება –მშობლიური ენის დასაცავად საბჭოთა იმპერიულ მანქანას დაუპირისპირდნენ და არ შეუშინდნენ რეალურ საფრთხეს, განსაცდელს, რომელიც პროტესტის ასეთ ფორმას შეიძლება მოჰყოლოდა. მათ პროტესტს უფროსი თაობის არა ერთი ღირსეული წარმომადგენელიც შეუერთდა. ახალგაზრდების ამ ნაბიჯმა და ამ პრინციპულმა პოციციამ, რომელიც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო, ნაყოფი გამოიღო– ქართული ენას სახელმწიფო ენის სტატუსი დაუბრუნდა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა საბჭოთა იმპერიის არსებობის განმავლობაში.ეს მოვლენა უმნიშვნელოვანესია იმიტომაც, რომ სწორედ 14 აპრილმა მისცა ბიძგი გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას საქართველოში.

დღეს სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ, რუსთაველის პროსპექტზე იმ ახალგაზრდებს შორის მეც ვიდექი. არასოდეს დამავიწყდება ის ამაღლებული განცდა, რომელიც, დიდი საფრთხის მუხედავად, ყველას გვაერთიანებდა.

დღეს ჩვენი ვალია, მოვუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, დავიცვათ ქართული ენა და აღვუდგინოთ მას თავისი განსაკუთრებული ადგილი. მე დაგპირდებით და ჩვენი მთავრობა ასრულებს დანაპირებს – სპეციალისტებთან და საზოგადოებასთან ერთად იგემება სხვადასხვა პროექტის შემუშავება სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ყველა ჩვენს თანამოქალაქეს ქართული ენის შესწავლაში და ამით განვამტკიცოთ მისი სახელმწიფო სტატუსი.

ბიძინა ივანიშვილი.

თბილისი, 14.04.2013 წ.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“

11 აპრილს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც 27 დეპუტატი დაესწრო. სხდომა სწრაფ ტემპში წარიმართა და 10 საკითხი 30 წუთში განიხილეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები და დამატებები შევიდა. საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებიდან დაფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტები: ოზურგეთი-ანასეული-დაბა ნარუჯა-დაბა ლაითურის გზის (7,7 კმ.) სარეაბილიტაციო სამუშაოები –194 420 ლარი; ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 226 500 ლარი გამოყენებული იქნება ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის, სოფ. ოზურგეთ-მელექედური-დვაბზუს, ლესელიძის ქ–სოფ. ოზურგეთი, ლიხაური-აჭის გზების, და მერია-ლაითურის ხიდის რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურებისათვის. სულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 420 920 ლარით გაიზარდა.

სხდომამ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატი **პაატა კილურაძე** დანიშნა, მოადგილედ **–ნესტორ ჟღენტი.**

სხომაზე სჯა-ბაასი გაიმართა სოფლის მეურნეობის ვაუჩერებთან დაკავშირებით. გამგებელმა კოტე შარაშენიძემ აღნიშნა,რომ იგი ახალი პროექტია, არ მოხდა ხარისხიანად ინფორმაციის მიწოდება ცენტრთან. 30 ერთეული ტექნიკა უკვე მზადაა ხვნისათვის. მოხდება სოფლებში არსებული ტექნიკის გამოყენება..

ხმაური მე-11 საკითხის განხილვას მოჰყვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრში სტრატეგიული გეგმა განიხილეს. ალეკო მამეშვილმა განაცხადა, რომ წელს მოხდება ქალაქის ორი ბაღის რეაბილიტაცია.

დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ თქვა, რომ კარგია სამომავლო გეგმის განხილვა, მაგრამ სირცხვილია ბაღებში შექმნილი მდგომარეობა. საკრებულოს დეპუტატებს მეტად უნდა აინტერესებდეთ არსებული მდგომარეობა. ეტყობა სათქმელი არაფერი გაქვთ. სჭირდება კი ოზურგეთს ბაღების გაერთიანება?

ალეკო მამეშვილმა აღარ გააგრძელებინა დეპუტატს კამათი და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 აპრილი, ორშაბათი	16 აპრილი, სამშაბათი	17 აპრილი, ოთხშაბათი	18 აპრილი, ხუთშაბათი	19 აპრილი, პარასკევი	20 აპრილი, შაბათი	21 აპრილი, კვირა
მზე, ღრუბელი +15+23	მზე, ღრუბელი +11+23	წვიმა +9+13	წვიმა +9+12	წვიმა +8+12	წვიმა +9+16	ღრუბელი +12+18

გამგებლის მოადგილედ ირაკლი სირაძე დაინიშნება

ამის შესახებ გავრცელებული ხმები გაზეთ „ალიონთან“ დაადასტურა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კოტე შარაშენიძემ.

– განათლებული კაცია. აქვს ორგანიზაციული ნიჭი და სოციალურ სფეროში მუშაობის გამოცდილება–გვითხრა კოტე შარაშენიძემ.

34 წლის ირაკლი სირაძე მუნიციპალიტეტში ლადო ქვილორიას ადგილს დაიკავებს. იგი მანამდე ოზურგეთში მუშაობდა საავადმყოფოების გაერთიანებაში, „მედალფას“კლინიკაში. ამ ბოლო დროს იგი სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის რაიონულ გამყოფილებაში მთავარ სპეციალისტია.

ბავშვთა კვების თემაზე საზოგადოებრივმა დარბაზმა იმსჯელა

ნუგზარა ასათიანი

გასულ ოთხშაბათს, 10 აპრილს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზის სხდომა გაიმართა. განხილვის თემა ოზურგეთის სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრში შემავალ ქ. ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღში ხორცის თემასთან დაკავშირებული პრობლემა იყო.

სხდომას გარდა დარბაზის წევრებისა, ესწრებოდნენ ბაღების გაერთიანების სპეციალისტები, მაგრამ მხოლოდ დარბაზის რამდენიმე წევრის მოთხოვნის შემდეგ მოიწვიეს სხდომაზე №3 საბავშვო ბაღის მენეჯერი ნონო მშვიდობაძე.

როგორც იცით, ასპინძელი ინდმეწარმის ზურაბ მელიქიძის მიერ მოწოდებულ საეჭვო ხორცის გამო ოზურგეთში ჩამოვიდნენ სურსათის უვნებლობის სპეციალისტები. მათ 2 აპრილს ხორცის ნიმუშები აიღეს ქალაქის №,№9,1 და 3 საბავშვო ბაღიდან, რომელიც გადაგზავნეს ბათუმში „ტესტირების, სერთიფიკაციის ცენტრში.“ ლაბორატორიის დასკვნა ასეთია: „აღებული ხორცის ნიმუშები ფიზიკო-ქიმიური (ხორცის სიახლე) და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებით შეესაბამება სანიტარულ წესებს და ნორმებს.“ **მაკა ჭყონიას** თქმით, მათ გარდა ფორმა №2-ისა და ვიზუალური დათვალიერებისა, არ ჰქონდათ სხვა მექანიზმი დისტრიბუტორის მიერ მოწოდებული ხორცის ვარგისიანობის შესამოწმებლად. მას ამ თემაზე გაფრთხილებული ჰყავდა მენეჯერები, მნე, მზარეული და დიეტ-ექთანი. იყო შემთხვევა, რომ თებერვალში დაუბრუნეს ხორცი ასპინძელ ინდ. მეწარმეს.

ახალგაზრდა იურისტთა ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ** შემდეგი კითხვები დასვა: იყო თუ არა სადაო ხორცის ნიმუში ლაბორატორიაში გასასინჯად წაღებული? მაგრამ როგორც ბაღების გაერთიანების უფროსის მაკა ჭყონიას გამოსვლისას გაირკვა, სპეციალიტებს არ აუღიათ იმ ხორცის ნიმუში, რომელზედაც სკანდალი ატყდა (ამ ხორცის ნიმუში უკვე აღარ იყო №3 ბაღში) არამედ მათ აიღეს 27 მარტს შემოტანილი ხორცის ნიმუშები. ამიტომ, როგორი იყო სადავო ხორცი, დასკვნა არ არსებობს.

№3 ბაღის მენეჯერმა **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ მშობლები მოითხოვდნენ, რომ გაკეთებულიყო სადაო ხორცის ლაბორატორიული შემოწმება. გარდა ამისა, ხშირად ედავებოდა დისტრიბუტორს იმის გამო, რომ ხორცის ვიზუალური დათვალიერებისას საეჭვო იყო ხორცის მუქი წითელი ფერი, რაზეც პასუხობდნენ, რომ ასპინძაში ჭარხლით კვებავდნენ ძროხებს და ფერს ეს განაპირობებდა. ბუნებრივია, არ მჯეროდა და ეს ხორცის სპეციალისტმა ჯუმბერ ხომერიკმაც დაადასტურა, რომ საკვები არანაირ კავშირში იყო ხორცის ფერთან. გაკეთდა ლაბორატორიის დასკვნა, მაგრამ ხელშეკრულება ითვალისწინებს I კატეგორიის ხორცის მიწოდებას ბავშვებისათვის. ამ დასკვნაში კი არაფერი წერია, რომელი კატეგორისა ხორცი.

იურისტმა **მაია სურგულაძემ** ბაღის მენეჯერს დაუსვა კითხვა, რატომ არ გაქვთ საეჭვო ხორცის სინჯი შენახული?

– ჩვენ გვეუბნებოდნენ, გავჩუმებულიყავით. ორი კვირის განმავლობაში სამჯერ მოვიყვანე ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელები. ეს იყო მეოთხე შემთხვევა. უხარისხო ხორცი სხვა ბაღის მენეჯერებმა ვერა ვასაძემ და მარიკა ღლონტმაც დააბრუნეს. ჩვენ მოთხოვნისამებრს კერძი მოვამზადეთ, მაგრამ ბავშვებისათვის არ მიგვიცია. თავად ნიმუში მხოლოდ 24 საათი ინახება.

ალეკო მამეშვილი:–გვაქვს ლაბორატორიის დადებითი დასკვნა არსებულ ხორცზე, მაგრამ არ ვიცით რომელი კატეგორისაა...

–იქნებ დროებით შევაჩეროთ... შესთავაზა საკრებულოს თავმჯდომარეს მაია სურგულაძემ.

ჯანდაცვის სისტემის გამოცდილმა ექიმმა **არჩილ მეკვიამ** დასვა კითხვები:

ინდ. მეწარმესა და ბაღების გაერთიანებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში იყო თუ არა მითითებული, როგორი მანქანით უნდა მომხდარიყო ხორცის ტრანსპორტირება; ვინ იყო პასუხისმგებელი პირი ხორცით დატვირთული მანქანის მიღებაზე და იყო თუ არა ხორცის ცალკეული ნაწილებზე შეასამისი ბეჭედი დასმული?

აღნიშნულს უარყოფითი პასუხები გაეცა. ნინო მშვიდობაძის თქმით კი, ბოლო მომენტამდე ფურგონი „მოსკვიჩით“მიჰქონდათ ხორცი ბაღში და დაფასოებული იყო ლურჯ პარკებში. ხორცის ნაჭრებს არანაირი დამღა არ ჰქონდა...

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კოტე შარაშენიძემ** გამოთქვა აზრი, რომ შესაძლოა მუნიციპალიტეტმა სპეციალური მანქანა შეიძინოს. შეიძლება რაღაც ბარიერების გადალახვა და ტენდერი გამარტივდეს. თუ საჭიროა ტენდერზე ხარისხიანი ხორცის შესაძენად უფრო მაღალი თანხაც დასახელდეს. ამას ბავშვების ინტერესი მოითხოვს...

...მაინც რა ვუყოთ 27 მარტს მიღებულ ხორცს? –შეკითხვა დასვა მაკა ჭყონიამ.

არჩილ მეკვია: –დაფასოებული ხორცი 48 საათის განმავლობაში უნდა იქნეს ათვისებული. ან ხორცი სპეციალურ მაცივარში უნდა ინახებოდეს გაყინულ მდგომარეობაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ კი განაცხადა, რომ ბაღებში არსებულმა სამეურვეო საბჭოებმა განიხილოს, გამოიყენონ თუ არა 27 მარტს მიღებული ხორცი.

საკრებულოს დეპუტატ **დიმიტრი კვერღელიძის** აზრით, ასეთი პრობლემა მთელს საქართველოში არ არის. ეს პრობლემა ოზურგეთში ბაღების გამსხვილებამ გამოიწვია.

ბაღების გაერთიანების მეთოდისტ **ეთერ ჩხაიძის** აზრით, ტენდერის არსებული სისტემა საბავშვო ბაღებზე მორგებული არ არის.

დარბაზის წევრმა **კახა ვასაძემ** თქვა, რომ სისტემა მზად არ აღმოჩნდა პრობლემის გასამკლავებლად. არ გვაქვს სასაკლაო, ლაბორატორია. საქონელი ოზურგეთში უნდა დაიკლას...

დარბაზის სხდომაზეც იყო მცდელობა „დამნაშავე“მოეძებნათ და ოგრძნობოდა, რომ ხელს №3 ბაღის მენეჯერისკენ იშვერდნენ (როგორც შემდეგ „ალიონის“რედაქციას სანდო წყარომ აცნობა, ახალი მენეჯერის კანდიდატიც კი შეურჩევიათ გუბერნატორის სანათესაოდან), მაგრამ საბოლოოდ დარბაზის წევრებმა მსჯელობისას არსებული მოუგვარებელი პრობლემები დაინახეს. ბაღების გაერთიანებისთვის ეს სერიოზული ტესტი უნდა დარჩეს მომავალში მსგვასი პრობლემის გასამკლავებლად, ხოლო სურსათის უვნებლობის და სხვა მაკონტროლებელ სამსახურებს კანონმდებლობამ უნდა მისცეს შესაძლებლობა, მეტად ჩაერთონ პრევენციულ ღონისძიებებში.

ღია კარის დღე პირველ საჯარო სკოლაში

ნინო ნიკოლაიშვილი, მარი კოკოევი

სკოლის ჩვეული გრაფიკისა და სტუმართა უჩვეულო სიმრავლის რეჟიმში წარიმართა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში ერთი ჩვეულებრივი დღე 11 აპრილი, რომელსაც ღია კარის დღე დაარქვეს პირველსკოლელებმა. ღია გაკვეთილები სხვადასხვა საგანში დაწყებითსა და მაღალ კლასებში: I კლასი მასწავლებელი ნინო თავბერიძე; II კლასი - ნანი სალუქვაძე, ლია სიმონიშვილი; III -კლასი - მაია მეგრელიშვილი; IV კლასი – ცისანა კუპრაძე; V კლასი, ინტეგრირებული გაკვეთილი ქართული ენა და ლიტერატურა- ბუნებისმცოდნეობა - მასწავლებლები ლელა მეგრელიშვილი, ელიკო თავდუმაძე; ინგლისური - თამარ კაჭარავა; VI კლასი ისტორია -ნათელა სურგულაძე; IX კლასი - ფიზიკა - ნონა გობრონიძე, ქიმია - ნათია ნიკოლაიშვილი; X კლასი ბიოლოგია - მაკა ვაჩეიშვილი; XII კლასი ქართული ენა და ლიტერატურა- ისტორია - ეკა ღლონტი, მერი ჩაჩუა; მათემატიკის ვიქტორინა „რა, სად, როდის“ - მაია ტყეშელაშვილი, თამარ ნადირაძე, რუსუდან ხავთასი; ; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ღია სხდომა - ნონა გობრონიძე; ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია „და რა არის სიცოცხე სიყვარულის გარეშე...“– ბიბლიოთეკარი ირინა კოსტავა.

ბუნების საოცრებები, მათი მნიშვნელობა, ბავშვთა ფანჯრიდან დანახული სამყარო და ადამიანი, ამ სამყაროს განუყოფელი ნაწილი, ეს თემა გაიშალა გაკვეთილზე ბუნების ქმნილებების შეცნობისა და ერთ-ერთი უბადლო პოეტი ქალის ანა კალანდაძის შემოქმედების წვდომის მცდელობაში, რომლის გასაღები გახლდათ ლექსი „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა“. მეთორმეტეკლასელებმა დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის ცხოვრებისეული დეტალებითა და მისი შემოქმედების მთავარი პერსონაჟის ყვარყვარე თუთაბერის ცხოვრებისა და „მოღვაწეობის“ განხილვით, კაცობრიობის ერთ-ერთ უკურნებელ სენად ქცეული ყვარყვარიზმი წარმოადგინეს კონკრეტულ დროსა და ეპოქაში, და რომელსაც დრო და სივრცე მაინც არ გააჩნია. ამ თემებზე შესრულებული ესეების გამო მოსწავლებმა დამსწრეთა ქება დაიმსახურეს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სხდომა ამ სფეროში არსებული პრობლემების განხილვით დაიწყო, ინტეგრირებული გაკვეთილები, საათების არასრული რაოდენობა, არასრულფასოვანი სახელმძღვანელოები პრობლემებს უქმნის, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსაც. ამ მიმართებით თავისი მოსაზრებები გამოთქვა სკლის სასწავლო ნაწილის გამგე ლალი გიგინეიშვილმა. სხდომაზე მადლობა გადაუხადეს ბიოლოგიის მასწავლებელს ელიკო თავდუმაძეს საინტერესო პროექტებისა და მუშაობისათვის. სკოლის დირექტორმა მაია თავართქილაძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ მონაწილე ბავშვს, მასწავლებლებს, მშობლებს გაწეული დიდი შრომისთვის. მადლობა გადაუხადეს სკოლის სრულ შემადგენლობას მიწვეულმა სტუმრებმა, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ირინა ინარიძემ, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა როზა გოგუაძემ, რომელმაც საჩუქრებიც გადასცა მასპინძლებს.

დიდი მადლობა თანადგომისათვის

უეცრად მოვარდნილმა ძლიერმა ქარმა ბევრ ოზურგეთელს შეუქმნა პრობლემები–მწყობრიდან გამოიყვანა და დააზიანა სახლის სახურავები. ძლიერმა ქარმა ჩემს საცხოვრებელ სახლზეც დააზიანა სახურავი. შიფერი დაიბზარა და ჩაიფშვნა, ერთი წვიმაც და ჭერი თავზე ჩამომენგრეოდა. არანაირი მატერიალური საშუალება არ მქონდა სახურავის გამოცვლის. ღამეები არ მეძინა. დახმარებისათვის თხოვნით მივმართე ქალაქის მერიას, მუნიციპალიტეტის გამგეობას.

ჩვენი მხსნელი აღმოჩნდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომლის შექმნილმა „ქართუ ფონდმა“ოზურგეთლებს გამოუგზავნა გადასახური მასალა და მეც სხვებთან ერთად მხვდა ბედნიერება ჩემი სახლი საიმედოდ გადახურულიყო.

დიდი მადლობა ქალაქის მერიის ხელმძღვანელს ლევან მგელაძეს და მის თანამშრომლებს ყურადღებისათვის.

დიდი მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს კოტე შარაშენიძეს და მის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძეს თანადგომისათვის. ისინი რამდენჯერმე მოვიდნენ ჩემთან, რათა ენახათ, თუ როგორ სრულდებოდა გადახურვის სამუშაოები. მადლობა გამგეობის ახალგაზრდა თანამშრომელს დათო გოგუაძეს ყურადღებისათვის.

დიდი მადლობა ყველა იმ მუშას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სახლის გადახურვაში.

ლამარა ბურჭულაძე,

ქ. ოზურგეთი, კლდიაშვილის ქუჩის მცხოვრები

ომარ ბაკურაძე –ლექსთაცვენა

დაიბადა 1954 წლის 12 სექტემბერს, ტყიბულის რაიონის სოფ. გელათში, ქართულ ტრადიციულ ოჯახში. დაამთავრა: კურსების საშუალო სკოლა; ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ჩაის მრეწველობის საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შესაბამისად გააცნია: ინჟინერ-ტექნოლოგის, მრეწველობის ბუღალტრის, სწავლული ეკონომისტის, სამართალმცოდნის კვალიფიკაცია. არის თვითნასწავლი ჟურნალისტი. მუშაობდა გაზეთ „გურის ნიუსის“კორესპონდენტად, გაზეთ „სტუდენტისა“და რესპუბლიკურ ჟურნალ „სოციალური პოლიტიკა საქართველოში“რედკოლეგიის წევრად. არის რამდენიმე სამეცნერო შრომისა და ათობით საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი. მუშაობდა დისერტაციაზე.

გააჩნია: უფროს ინჟინერ-ტექნოლოგად, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, სპეცსაგნის მასწავლებლად, სამეცნერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, მცირე საწარმოს დირექტორად, ინდმეწარმედ, სოციალურ მუშაკთა კადრის მოსამზადებელი რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის წევრად, უნივერსიტეტის ფილიალის ლექტორად, ადვოკატის თანაშემწედ მუშაობის გამოცდილება.

ლიტერატურული ნაწარმოებების, მათ შორის ლექსის წერა სკოლის ასაკსი დაიწყო. დაბეჭდვა ცოტა მოგვიანებით განახორციელა. პირველი ლექსი „ძმათა სადღეგრძელო“ დაიბეჭდა ოზურგეთის რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშაში.“არჩეული იყო აღნიშნულ გაზეთთან არსებულ ლიტერატურულ-შემოქმედებითი საბჭოს წევრად.

მონაწილეობდა სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იყო ლადო ასათიანის სახელობის ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრი. 2008 წლის 18 მარტს, აღნიშნული წრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე განხორციელდა მისი ლექსების პრეზენტაცია. არის საუნივერსიტეტო კონკურსის „ვინ უკეთ იცის“გამარჯვებული.

მისი რამდენიმე ლექსი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტურ ლექსებთან ერთად შეტანილი იქნა კრებულში „პოეზიის დღე.“ სხვადასხვა დროს მისი ლექსები გამოქვეყნებულ იქნა გაზეთებში: „ლენინის დროშა,“ „ალიონი,“„ტყიბული,“„სტუდენტი,“„სტუდენტური მერიდიანი,“„ქუთაისის უნივერსიტეტი,“„ფორტუნა.“

ერთი ლექსი „საქართველოს მეგობართა სადღეგრძელო“გამოქვეყნებულია ისრაელში გამომავალ ორენოვან (ქართული და ივრითი) ჟურნალში „აშდოდელები.“ იკვლევს ქართულ-ებრაულ ურთიერთობის საკითხებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გაზეთ „ალიონის“რედაქციასთან ომარ ბაკურაძის ურთიერთობა. ამ გაზეთის ფურცლებზე მისი მრავალი ლექსი და წერილი დაიბეჭდა.

მისი ოცნების საგანი და უახლოესი პერიოდის ამოცანაა – მეცენატ ადამიანთა თანადგომით სტამბური წესით განახორციელოს ლექსების პირველი კრებულის წიგნად გამოცემა. წიგნის სახელწოდებაა „მარად თანმდევი სიკეთე.“იგი ეძღვნება ყველა მეოცნებე ადამიანს, ვისაც უყვარს საქართველო და ვისი ფიქრის, სიყვარულისა და ზრუნვის საგანია მისი წარსული, აწმყო და მომავალი, როგორც მარად თანამდევი სიკეთე.

არსენ კეჭაყმაძე,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ვისაც უყვარს საქართველო

ვინც საკუთარ სულში ძერწავს
სვეტიცხოველს,ჯვარს და სიონს,
ვინც ადიდებს ილიას და
დაუდგრომელ გალაქტიონს.
ვისაც უყვარს საქართველო,
მისი მტკვარი და რიონი,
ვაჟას ლექსი არწივი და
საქორწინო მაყრიონი.
ვისთვის ერთი არის ცნება
ქრისტიანი და ქართველი,
თავს გასწირავს სამშობლოსთვის
ვით სამასი არაგველი.
რადგან ქვეყნის ერთგულება
უპირველესი ვალია,
ვინც შიმშილობს,თუმცა განძი
უთვალავი აბარია
და ვინც იბრძვის რწმენისათვის,
კირით ხურო თუ მგოსანი,
ვისაც მზითვად მიუღია
შოთას „ეფხისტყაოსანი“
ვინც სამძიმარს ეუბნება
შვილის მკვლელი ვეფხის დედას
ვინც ალგეთზე ბოკვრებს დაზრდის
ქართლის დედის დასაცველად.
და ბაზალეთს ეგულება,
ოქროს აკვანს მწოლი ჩვილი,
სამშობლოსთვის შეუწირავს,
ვით ზვარაკი, ღვიძლი შვილი.
ვინც თაფლს ისვამს შიშველ ტანზე
და აოცებს მონგოლ ნოინს,
ქართველების დასახსნელად
მოიგონებს ათას ოინს.
და ვინც გვირგვინს იდგამს თავზე
თუნდაც იყოს ეკლიანი,
რომ სამშობლოს გაუთენდეს
დღე ნათელი და მზიანი.
ვინც ღრუბლებში დააგელვებს
ლურჯა ცხენებს, ტატოს მერანს,
ვინც ქართული ცეკვით შეძლო
იალბუზზე გადაფრენა.
ეხლაც მღერის მუმლი მუხას
და იმღერა შადიანი,
ვინც მოიგო დიდგორი და
ვინც მოიგო ბასიანი.
ვინც ლოცულობს ქართულ ვაზთან
და აკვანი დაარწია,
სალი კლდიდან გამოკვეთა
უფლისციხე და ვარძია.
ვის აოცებს ჩუქურთმები
გელათის და ნიკორწმინდის,
ქართულ ღვინით წარმოუთქვამს
სადღეგრძელო ყოვლადწმინდის.
ვინც დარაჯობს ქართულ სიტყვას,
ქართული ნანას, ქართულ ბგერას,
ვინც „ჩაკრულოს“ ცაში გზავნის
ანგელოზთა მოსასმენად,
არ გასწირავს ქრისტე ღმერთი
განსაცდელის მოსავლენად.

ძმათა სადღეგრძელო

ძმა ძმით ძლიერია,
აზრი ნათელია,
მცირედ ვმრავლდებით და
ძალა დაგველია.
გრძნობა წმინდაა და
ფიქრი დამფენია,
ძმანი საფიცარნი
ცოტა დაგველია.
ჰეი,მეგობრებო!
ეს დღეც ნათელია,
ზეცა წმინდაა და
მზე თავს დაგვფენია,
ქვეყნად მშვიდობის და
ძმათა სადღეგრძელოდ,
ტკბილი დედისა და
ყრმათა სადღეგრძელო
ხომ არ დაგველია?!
ხომ არ დაგველია?!

დედა

სიკეთის და სათნოების ზღვა ხარ,
ჩვენზე ფიქრში სანთელივით დნები,
შენს თვალებში სიყვარული მოჩანს,
ნაადრევად შეგევერცხლა თმები.
არ გვაშორებ მზრუნველობას წამით,
თითქოს ჯერაც პატარები ვიყოთ
და თუ ისევ ბავშვები ვართ შენთვის,
ნუ მოგვაკლებ ალერსსა და სითბოს.

მამას

კაცურკაცობის უღელში შებმულს
საქმე გიყვარდა დიდოსტატური,
ამდენი ცრემლი რომ დაგედინა,
ეს სიყვარულის არის დასტური.
გიყვარდა შრომა, გარჯა, ქეიფი
და ქართულ ვაზთან მოჰგავდი მლოცველს,
დადგება ჟამი, იტყვიან შენზე:
კაცი, რომელიც დააკლდა სოფელს.

30. 10. 1989

ანდერძი

ეძღვნება გურამ შარაძისნაირ მამულიშვილთა ხსოვნას

ეროვნული ტრადიციის
დაცვა ვისაც სურდა,
მან ანდერძად დაგვიბარა
და ვისმინოთ უნდა:
მამულს, ენას და ქრისტეს რჯულს
გაფრთხილება უნდა!
ვინაიდან ზოგი ესვრის
ტალახსა და გუნდას.
ამ სამებას როგორც წმინდას
გადარჩენა უნდა!
გადარჩენა უნდა!
ვისაც უყვარს ეს სამება
წმინდაა და სუფთა,
თავზე ეკლის გვირგვინი და
ჯვარზე გაკვრა უნდა?
კითხვას თვითონ უპასუხებ
გონნათელი თუ ხარ,
ამ საუნჯეს, ქართველებო,
გაფრთხილება უნდა!
გადარჩენა უნდა!
გადარჩენა უნდა!

20.05.2007

პასუხი ყველას

როდესაც მავანს აზრი აქვს მწირი,
იდეა ფიქსი ხდება სტრიპტიზი,
ფარისეველი აწყობს მასკარადს,
ულმერთოები ბილწავენ ტაძარს.
სხვისი წამებით ვერ ძღება მონსტრი,
ტანჯვა-წამება გამხდარა ჩვევა,
თუ პატიმრები ითხოვენ საშველს,
მაშინ ქვეყანაც მოითხოვს შველას.
როდესაც სოფელს აოხრებს გზირი,
გონებაბნელი ტაშს უკრავს მტარვალს,
გადაგვარების დამდგარა ჟამი
და გამკითხავი ქვეყნად არა სჩანს,
შენ , საქართველოვ, ქუდზე კაცს უხმე!
ლაშქარი დასძარ! ლაშქარი დასძარ!
განკითხვის დღეზე ვინ არ წარსდგება?!
ვერ დაიმკვიდრებს ზეცის მადლს ყველა,
ნუ გავიწყდებათ, მაღალ არს ღმერთი!
მოგვეკითხება პასუხი ყველას!
პასუხი ყველას! პასუხი ყველას!

21. 09. 2012.

მეოცნებე ადამიანს

მაგ შენი სამყაროს გარშემოვლას
ალბათ ძნელად შეძლებს თეთრი რაში,
მაღლა ღრუბლებში დაფარფატებ ,
ხარ მეოცნებე დიდი ბავშვი.
გული ოცნების ზვავს წაულეკავს,
ეძებ საქვეყნო სიხარულს,
ვინც ეძებს პოვნითაც ის პოულობს,
ღმერთი არ მოგაკლებს სიყვარულს

14 ,04 2005.

შენს წამწამებს

შენ კარგი ხარ, ვით მაისის იადონი
ვარდის შტოზე შემომჯდარი დამინახავს,
იანვარში ქვეყანა რომ გაიყინოს,
შენი სითბო ხელუხლებელს შემინახავს.
ჩამოქნილხარ ვით ხატის წინ კელაპტარი,
შენი შუქით ღამეშიაც გზას მინათებ,
შენს წამწამებს გული ჩემი დაუხანჯლავს,
მალამოსაც ნუ მომაკლებ, თუ გიყვარდე.

დუელი საქართველოს შავ ბედისწერასთან

შენ, საქართველოს ძევ და ასულო,
წარსულში მძიმე ცხოვრება გქონდა,
გადაიტანე მრავალი ჯვარცმა
გადაიტანე შენ ბევრი ბრძოლა.
გადაარჩინე ენა, მამული,
ქართული სული –შენი ბუნება,
თუმც ბეწვის ხიდზე ბევრჯერ გატარეს
მაინც არ დათმე სარწმუნოება.
აწმყოშიც ბევრი ხიფათი გელის
გასატანია ბოლომდე ლელო,
რომ ქართული ხმა ისევ ისმოდეს
არ გადაგვარდეს დღეს საქართველო.
განკითხვის დღეზე ყველა წარსდგება,
გსურს დაიმკვიდრო ზეცას ნათელი?
უნდა შეგეძლოს წარმოთქვა ფრაზა
მე ვარ ქართველი, საქმით ქართველი.
თავდადებული ჩვენი გმირები,
ზოგი მიწაში არც კი მარხია,
მათებრ სამშობლოს რომ უერთგულო,
შენი ვალია, შენი ვალია.
რწმენის უღელში უნდა შეება,
არ გაამრუდო ნათელი კვალი,
რათა მარადის ცოცხლობდეს ქვეყნად
ქართლოსის ჯიშის კაცი და ქალი.
ქართული სულის გადასარჩენად
თეთრი მერანი მარდად დარახტე,
რომ ამირანმა ჯაჭვი გაწყვიტოს
და კავკასიის დარაჯად დადგეს.
ჯაჭვგაუხდელი ხმალს ნუ ჩააგებ,
ზოგჯერ მხედრულიც უნდა იმღერო,
და თავგანწირვის სამადლობელად
დარჩება ქვეყნად მზე და ლილეო.
თვითმყოფადობის მაღალ დასტურად
დროა ჩაკრულო ცაში ამღერდეს,
ღმერთმა დაიცვას, რომ მომავალში
ჩონგურის ყველა სიმი არ ჟღერდეს.
რადგანაც ცოდვა გამხელილი სჯობს
ხამაღლა ვამბობ: თუნდ დამკრან ხმალი,
ქართლს ბედისწერა ფეხდაფეხ დასდევს
და გარს ეხვევა მუმლი მრავალი.
შენ ხელთათმანი უნდა ისროლო
ნათელ მომავალს ტყვილა ნუ ელი,
შენ ბედისწერა უნდა დასაჯო
გამოუცხადო უნდა დუელი.
უნდა დაიცვა შენ ქართლის დედა
სარწმუნოება, ენა, მამული,
რომ ის ეარ თქვას გალაკტიონმა
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
ნათელ მიზნების ასრულებისთვის,
სიკვდილი ცოტას კიდევ დაგაცლის,
როცა დუელში შავ ბედისწერას
მაჭახელიდან ტყვიას დაახლი.
შენ ნებისყოფის დიდი დაძაბვით
მოწყვიტო უნდა დიადი წამი,
როს გამარჯვების ყიჟინას ექოდ
მაღალ კლდეებს და ზეცას შეახლი.
მაგ გამარჯვებას სხვაც იზეიმებს,
გმირთა ვარამის თავად მნახველი,
ახალ ბრძოლაში შენ მხარს დაგიჭერს
სუფთა ბუნების ყველა ქართველი.

ხსოვნა

ნონა მამულაიშვილი



ჩემო საამყო უსაყვარლესო ნონი! ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ექიმმა მ. მჟავიამ თავისი დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით მოგისწრაფა სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელიც უსაშველოდ გწყუროდა. დაგატოვებინეს შენი განუმეორებელი, ერთგული მეუღლე რეზო, ერთადერთი შვილი, ხელოვანი, მრავალი ხალხური შემოქმედებითი კონკურსის მონაწილე და მათში გამარჯვებული– სტუდენტ ბექა, რომლის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წელს წერდა ბათუმის მოსწავლეთა საქალაქო გაზეთი „დრო“(№3): „ალანიის სცენაზე აჟღერებული აფზაზეთის სევდა და... ოზურგეთელი ბექა ჩიკაშუა, ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ანსამბლ „ნედლი სალამურის“სოლისტია. ნიჭიერ ყმაწვილს არაერთი საფესტივალო სცენა დუპყრია და განსაკუთრებული წარმატებითაც, მაგრამ ალანიის კულტურის სასახლეში რეჟიმად დაღვრილი „გამარჯობა აფხაზეთო შენი,“ მართლაც განსაკუთრებულ საოცრებად იქცა ქართველი მსმენელისთვის და არამარტო ჩვენთვის. ეს ბექას მორიგი გამარჯვებაა. ამჯერად სამშობლოს გარეშე, რაც თავის მუსიკალურ კარიერეში ძალიან დიდ მომავალს უქადის.“

სამწუხაროდ, დიდი მომავალი მას დედის დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე აღარ ექნება.

შვილო, შენ დატოვე აგრეთვე საყვარელი ძმა, შენი ნიკო, რომელზედაც მზე ამოგდიოდა, და, რძალი, სიძე, ძმისშვილი, დისშვილები, მოხუცი მამა, რომელიც შენი ცხოვრებით ცხოვრობდა, დატოვე პატარა, პატიოსნად შექმნილი ლამაზი ოჯახი, რომელშიც მხოლოდ მცირე ხანს მოგიწია ცხოვრება.

ძალინ გიხაროდა 8 მარტის მოსვლა, სტუმრებს სახლში მიიპატიჟებდი და სუფრას სიმღერითა და ცეკვით აწყობდი, სწორედ 8 მარტს, გაზაფხულის ამ ლამაზი დღესასწაულის დღეს დალიე შვილო სული.

მეამყებოდა, რომ იყავი კარგი მომღერალი –სოლისტი, ყოფილი ბაილეთის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელ-ლი ვლ. ერქომაიშვილი) წამყვანი წევრი, მღეროდი სოფლის „ტრიოშიც“(ო. კილურაძე, ნ. მამულაიშვილი, რ. თევდორაძე), და წარმატებით გამოდიოდი მხატვრული თვითმოქმედების რაიონულ და რესპუბლიკურ დათვალიერებებში.

წარმატებით გქონდა დამთავრებულ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი, მუშაობდი კომკავშირის რაიკომში. წლების მანძილზე იყავი ბაილეთის კოლმეურნეობის პროფკავშირული კომიტეტის გათავისუფლებული თავმჯდომარე და ყოველთვის დიდი სიყვარულით გხვდებოდნენ თანასოფლელები.

ოზურგეთში ალბათ არ მოიძებნება ადამიანი –ნაცნობი, უცნობი, რომელსაც გულთან არ მიეტანოს შვილო შენი და ჩვენი ოჯახის გასაჭირი. უსაშველოდ თბილი, სიკეთით სავსე, პატივისცემისა და სიყვარულისთვის დაბადებული იყავი და სწორედ ამიტომ იყო, რომ ცხარე ცრემლებით გაგაცილა უამრავმა ადამიანმა.

ცნობილია, რომ ქართულ ოჯახში ქალი თავისი ღირსებით, ხოლო კაცი თავისი ვაჟკაცობით ფასდება. ოჯახი, ხომ სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია და სწორედ ასეთმა ოჯახებმა გადაარჩინეს საქართველო და დღემდე მოიყვანეს. თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩემი შვილისა და სიძის პატარა ოჯახი ჩვენი საქართველოს მართლაც ლამაზი, შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც ნათელი მომავალი ეწერა.

ჩემო საყვარელო ნონი! გეხვევი და გკოცნი ბევრს. მენატრები, მენატრები უზომოდ.

შენი დატანჯული
მამა ამირანი.

რედაქციისაგან: : *ჩვენ ამ წერილის გამოქვეყნებისას დავიცავით რა თავისუფალი პრესის პრინციპი, გავითვალისწინეთ 80 წლის ადამიანის მძიმე სულიერი ტრავმა (მას ასევე ტრაგიკულად დაეღუპა წინა წლებში მეუღლე, რძალი) ავტორს უფლება მივეცით გამოეთქვა თავისი აზრი და გულისტკივილი გაზეთის საშუალებით; რედაქცია გამოთქვამს მზადყოფნას „მედალფას“ექიმთა კოლექტივის შესაბამისი არგუმენტირებული პასუხის დასაბეჭდად*

ნონა მამულიაშვილი-ჩიკაშუას ხსოვნას

გამოიღვიძა ბუნებამ,
მზემ კვლავ ჩამოკრა ზარები,
რამ შეგიცვალა გუნება,
ნონა სად მიეჩქარები?
შენს ირგვლივ გაზაფხულია
თვალებს ახელენ კვირტები,
ო, რა ძნელია, რთულია
უშენოდ, შენ არ იქნები.
დამწუხრებული მოდიან,
ხალხის ზღვას ბოლო არ უჩანს,
ერთი ლამაზი სიცოცხლე
დააკლდა ქალაქს, შენს ქუჩას.
უხვად აფრქვევდი სიყვარულს
კარგი დედა და მეუღლე,
კეთილ, ბედნიერ ოჯახში
დღეს გლოვაა და სიმწუხრე.
სხვა სიკეთესთან გიყვარდა
ხალხურ სიმღერის ჰანგები.
მუსიკის ნიჭიერებაც
ნაბოძებია განგების.
როცა მღეროდი სიმღერას
„ბინდისფერია სოფელი,“
სულგანაბული გისმენდნენ,
ავიწყდებოდათ ყოველი.
მომავალს გემშვიდობებით,
გაცილებთ გულწრფელ ცრემლებით,
სიკეთით, მადლიერებით,
ჩვენს გულში დიდხანს დარჩები.
კვლავ გაგრძელდება სიცოცხლე,
ჟამთა სვლით წავა ცხოვრება,
შენი ქალობა იცოდე
ჩვენ მუდამ გვემახსოვრება.

ნოდარ დონაძე.

დასავლეთ საქართველოს პირველობაზე ძიუდოში

ქ. ქობულეთში ჩატრდა დასავლეთ საქართველოს პირველობა ძიუდოში 1997-2000 წლებში დაბადებულთა შორის.

ამ ტურნირში ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც თავიანთ წონით კატეგორიებში წარმატებებს მიაღწიეს.

38 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გოდერძი ქათამიძე.

42, 60, 66, 73 კგ. წონით კატეგორიებში III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: გიორგი ურუშაძე, დავით გოგოტიშვილი, გოგა გოქსაძე, როლანდ ქარჩავა, ნუგზარ ლობჟანიძე.

გუნდი მოამზადეს მწვრთნელებმა: დიტო ტუღუშმა, დავით ჩიკაშუამ, გოჩა ბურჭულაძემ.

შაკო დავლაშელიძე

„სიკვდილო კარგის მოკლვლისთვის, ნეტავ ვინ გეტყვის ქებასა.“



40 ტკივილიანი დღე მიილია უშენოდ. სიცოცხლით აღვსილს, უცებ გიღალატა ცხოვრებამ. შენს საფლავთან ვიკრიბებით და ვიგონებთ გატარებულ წლებს. უსაზღვროდ ტკივილია სამუდამოდ წასვლა ჩვენგან შენი. ღვთის რჩეული აღმოჩნდი შაკო. მწუხარების მძიმე სიტყვებით გამოხატვა ტკივილს ვერაფერს შველის. რა დასანანია, რომ ასე ულმობლად შეწყდა შენი სიცოცხლე. სიკვდილი ვერაფერს დააკლებს იმ სახელსა და სიყვარულს, რაც შენ დატოვე. სიკვდილი მხოლოდ შენი ამაღლების გზად იქცა და ეს, საუბედუროდ 19 წლის ასაკში მოხდა. ამით გამოგარჩია უფალმა. ჩასაფრებულმა სიკვდილმა წაგვართა შენი ლამაზი სიცოცხლე.

ძალიან გვენატები ყველას –შაკო.

ლელა და თამრიკო მასწავლებელი, ტკივილით გიხსენებენ.

ძნელია ვანუგეშოთ შენი მშობლები, ძმა, ნათესავები.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ცრემლშეუმშრალი თვალებით გიცქერით შორიდან. გპირდებით, შენი ხსოვნა დღეგრძელი იქნება. გვიჭირს შაკო შენი წარსულში მოხსენიება. ყველას ძალიან გვატკინე გული. ჩვენ ხომ ჯერ მხოლოდ 19 წლისანი ვართ და სამუდამო ტკივილი დაგვიტოვე.

ნათელში იყავი შაკო, შენი სულის გასანათებლად, ყოველთვის იციმციმებს ჩვენგან დანთებული სანთელი. უფალი გფარავდეს.

თანაკლასელები.

პავლე ლომთათიძე



გაუსაძლისი ტკივილითა და უსაზღვრო მონატრებით გავიდა ოთხი წელი.

მოგვაკლდა შენი სითბო, სიყვარული, ღიმილი, ფუსფუსი ყველგან და ყველაფერზე.

გვჯერა, უბედნიერესი იქნებოდი შენი შვილთაშვილის ნახვით რომ დამტკბარიყავი და ამავე დროს მეორე შვილთაშვილის მომლოდინე გამხდარიყავი.

ყოველ დღე, ყოველ საათს გვახსოვხარ, გვაკლიხარ, გვენატრები.

გვეამყები, იმიტომ რომ დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით გიგონებს ყველა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

ოჯახი.

გურამ ლომაძის ოჯახი იუწყება მეუღლის **იზოლდა აკაკის ასული ბოლქვაძე-ლომაძის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა სამშაბათს, 16 აპრილს, (გამოსვენება, ქ. ოზურგეთი, თბილისის ქ.№19).

გაზეთ „ალიონის“რედაქცია იუწყება კოლორიტი ოზურგეთელის, ჩოხატაურის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის, ოზურგეთის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის, ცნობილი სამეურნეო მუშაკის, გაზეთის დიდი მეგობრის **აკაკი გობრონიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს კვირიკეთის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ნათია მიქელაძეს უსაყვარლესი მეუღლის **გია ერქომაიშვილის** გარდაცვალების გამო.

სილაურის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის **ნადია ლომინაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება სილაურის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **ნადია ლომინაძის** გარდაცავალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შპს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსუსდან, ნატო, თამარ, ნოდარ მჟავანაძეებს მამიდის **ვალიდა მჟავანაძე-კონტრიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე